ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №132/01/17

ქ. ბოლნისი 07 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის დავით შერაზადიშვილის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ ალექსანდრე ქობალია** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ალექსანდრე ქობალიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N NAT170003557 ელექტონული ტენედერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" - N NAT170003557 ელექტონული ტენედერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქ. ბოლნისში, ჭავჭავაძის ქუჩა #47-ში, მოქალაქე ელისო მოსეშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები (CPV452612100)

2,2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. (დანართი N1)

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი საამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **8 639,88 (რვა ათას ექვსას ოცდაცხრამეტი ლარი და 88 თეთრი)** ლარს. (დღგ.-ს ჩათვლით).

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა -- დანართი №---2

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

5.3 წინასწარი ანგარისწორების მექანიზმი -- არ გამოიყენება.

5.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად (არანაკლებ 2000 ლარის შესრულებულ სამუშაოზე), ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5 შემსრულებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, ეტაპობრივი ანგარიშწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 80%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციის 7-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით..

5.6. საბოლოო ანგარისწორება (სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ფარგლებში) განხორციელდება:

5.6.1 შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5,6,2 სატენდერო დოკუმენტაციის 7-2 პუნქტის მე-3 და მე-5 ქვეპუნქტებში განხილულ შემთხვევაში -- მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6 მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის (შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის) გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის ან მისი ეტაპის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - **გიორგი სიკინჭალაშვილი** ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, სამშნებლო სამუშაოების მონიტორინგის განყოფილების უფროსი.

7 სამუშაოს შესრულების პირობები

7,1 სამუშაოს შესრულების ვადა – 2017 წლის 8 ივნისიდან 2017 წლის 7 ივლისის ჩათვლით. (ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე, სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი -- დანართი №3).

8 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.1.2.სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის ყურში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.1.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.4.წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების აქტს.

8.3.მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2.საამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8.3.3.სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.3.4.სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1.მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

9 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

9.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10 პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე <u>სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.</u>

10.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12 ფორს მაჟორი

12.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

12.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

12.4გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.5თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობები

14.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადაა საამშენებლო სამუშაოების ჩაბარებიდან (ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან) 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 20 (ოცი) კალენდარულ დღეში. (აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით).

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15,1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს:

15.1.1 ხელშეკრულების ყველა მუხლისათვის, გარდა მე-14 მუხლისა -- 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.1.2 ხელშეკრულების მე-14 მუხლისათვის -- 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

16.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

17. რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ.ბოლნისი, სს ორბელიანის ქ.N 106
ს/კ 225393963
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი GE24NB0330100200165022

მუნიციპალიტეტის გამგებელი

დავით შერაზადიშვილი

მიმწოდებელი:

ი/მ „ალექსანდრე ქობალია“
რაიონი ჩხოროწყუ, სოფ ჭოღა
ს/კ 48001001521

სს „ბაზის ბანკი“
ბ/კ CBASGE22
GE84BS0000000050636240

ალექსანდრე ქობალია

შემოსავლების სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
48001001521

გადამხდელის დასახელება
ალექსანდრე ქობალია

ხელმძღვანელი

გადამხდელის მისამართი
ჩხოროწყუს რაიონი / სოფ.ჭოღა

ელ-ფოსტა

ტელეფონი

ცნობა

ეძლევა, "ალექსანდრე ქობალია"-ს (ს/კ 48001001521) მასზედ, რომ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით სსკ-ს 158 მუხლის შესაბამისად ნებაყოფლობითი წესით რეგისტრირებულია დღგ–ს გადამხდელად 06/10/2016-დან.

თარიღი: 07/06/2017

ID: 4667817

ანგარიშის რეკვიზიტები

სსიპ "შემოსავლების სამსახურის"
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი | TRESGE22
სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ანგარიში/სახაზინო კოდი 707017021

2790281
თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16